ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #04

13.11.2017

რუსთავი

2017 წლის 13 ნოემბერს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეოთხე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრი დელეგატების უმრავლესობა და მოწვეული სტუმრები - ექსპერტები, ასევე ქ. რუსთავის მერი ბ-ნი ირაკლი ტაბაღუა. შეხვედრას უძღვებოდა ბ-ნი პავლე თვალიაშვილი (ფასილიტატორი).

დღის წესრიგი:

1. რევაზ ბარბაქაძე - მისასალმებელი სიტყვა.

2. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი, ირაკლი ტაბაღუა - მისასალმებელი სიტყვა.

3. პავლე თვალიაშვილი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სამი შეხვედრის შემაჯამებელი წარდგენა.

4. ბიუჯეტის წარდგენა-პრეზენტაცია (ბიუჯეტისა და შემოსავლების თეორიული განმარტება) - ლევან კავთიაშვილი.

5. ინიციატივების განხილვა, დისკუსია.

6. დისკუსია ქალაქში არსებულ პრობლემურ საკითხებზე.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერმა ბ-ნმა ირაკლი ტაბაღუამ საინტერესო ინიციატივები შესთავაზა საბჭოს წევრებს, ასევე გამოთქვა სურვილი მათთან ერთად აქტიურად იყოს ჩართული ბიუჯეტირების მონაწილეობით დაგეგმვაში - წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან განისაზღვროს თანხის კონკრეტული რაოდენობა და მოსახლეობისათვის შეთავაზებული იქნას პროექტების წარმოდგენა.

დელეგატებმა ექსპერტებთან ერთად განიხილეს 2018 წლის ბიუჯეტში შეტანილი მიმართულებები და პრობლემური საკითხები, როგორიცაა:

1. სოციალური დახმარება;

2. ავტოპარკის მოწყობა და განახლება;

3. ქალაქის მაშტაბით სანიაღვრე, საკანალიზაციო და სასმელი წყლის პრობლემების მოგვარება;

4. დაზიანებული და ამორტიზებული კორპუსების რეაბილიტაცია;

5. კულტურული ცენტრების ხელშეწყობა;

6. შშმ პირთათვის შეღავათების დაწესება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე;

7. ბაგა-ბაღების საკითხი

განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ შეხვედრაზე დამსწრე ექსპერტებიც, რომლებიც თავიანთ აზრსა და გამოცდილებას უზიარებდნენ დელეგატებს.

ჩეხეთის გამოცდილების მაგალითზე, სადაც არსებობს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ცენტრი, დელეგატებმა ინიციატივით მიმართეს ბ-ნ ირაკლი ტაბაღუას, რუსთავშიც განხორციელდეს მსგავსი პროექტი. მრავალფუნქციური სასწავლო ცენტრი, რომელიც დატვირთული იქნება სხვადასხვა სახის სასწავლო და სიმულაციური სახის პრაქტიკული დავალებებით - საგანგებო სიტუაციების და სტიქიური მოვლენების დროს მოქმედება (მიწისძვრა, ხანძარი და სხვ.), პირველადი დახმარების გაწევა, მოძრაობის უსაფრთხოება.

შეხვედრის დასასრულს სხდომის წამყვანმა ბ-ნმა პავლე თვალიაშვილმა შეაჯამა სხდომის დღის წესრიგი და ექსპერტებთან ერთად რეკომენდაციები მისცა დელეგატებს შემდეგი საქმიანობისათვის. საბჭოს შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 20 ნოემბერს 19:00 სთ-ზე.

სხდომის მდივანი

ნუკრი რამიშვილი

ქ. რუსთაავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N4

3 ნოემბერი, 2017

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტერენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კონჭოშვილი	
ინგა ჯიჯლავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	